ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 23.01.2024 წ.

დადგენილება N7.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N47.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის განისაზღვრა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ეფექტური შემუშავება, რომლითაც უნდა განხორციელდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულება.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალიწინებს უნივერსიტეტის რესურსებსა და ორგანიზაციული მართვის კონტექსტს. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მეთოდოლოგიის ძირითად ორიენტირად განისაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა, რომელიც გაზიარებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ და ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობების უმნიშვნელოვანესი ეტაპები:

I ეტაპი - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და გაზიარება

უნივერსიტეტის მისიით განისაზღვრება: უნივერსიტეტის თვითმყოფადობა, მისი განსაკუთრებული ადგილი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მისი გამორჩეულობა, დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადება, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

მისიის შემუშავების პროცესში უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოების მხრიდან უნდა ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო სფეროს მასშტაბური ხედვა და იდეათა გენერირების გზით შემუშავდეს უნივერსიტეტის მისია. მისიის შემუშავების პროცესი წარიმართება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, ერთობლივი კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შედეგად. საბოლოოდ კი განისაზღვრება უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები.

რელევანტურია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ინსტიტუციური განვითარების გრძელვადიანი ხედვის გააზრება, მისი უმაღლესი განათლების მიზნებთან თანხვედრა და ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან სინქრონიზაცია.

II ეტაპი - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება და სამოქმედო გეგმის შემუშავება

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება გამომდინარეობს მისიიდან და საგანმანათლებლო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრიდან. მიზნები და ამოცანები უნდა იყოს დროში მიღწევადი, ხოლო განხორციელების შედეგები - გაზომვადი. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობით პროცესს წარმოადგენს, რომელშიც ჩართულნი არიან უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მოიცავს ინსტიტუციური განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების, დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების გაანალიზების, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და სხვა არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირება. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის ფორმირებაში უნდა იყოს ჩართული ყველა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ამოცანის/ამოცანების განხორციელებაზე. სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქმიანობის ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებს/ორგანოებს, ვადებსა და გაზომვად ინდიკატორებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო ვერსიას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი.

პასუხისმგებელი პირებისა და ფინანსური რესურსის იდენტიფიცირება - თითოეულ სტრატეგიულ ამოცანას უნდა განესაზღვროს შესაბამისი აქტივობა, პასუხისმგებელი სტრუქტურა - პირი/პირები, შესრულების კრიტერიუმები და ფინანსური/მატერიალური უზრუნველყოფა.

სტრატეგიული ამოცანებისათვის პასუხისმგებელი სტრუქტურა - პირი/პირებისა და ფინანსური რესურსის იდენტიფიცირება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების ეფექტურობას და რისკების ადეკვატურ მართვას.

III ეტაპი - მონიტორინგის მექანიზმები და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება

უნივერსიტეტი ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი. უნივერსიტეტს სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად განსახორციელებლად, ხარისხის მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით, შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. მონიტორინგის მექანიზმები მორგებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების სპეციფიკაზე და, შესაბამისად, მოიცავს მონიტორინგის განხორციელების ვადებს, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მონიტორინგის ჯგუფი ამზადებს შესაბამის ანგარიშს ძირითადი ინდიკატორების მიხედვით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგების

შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებები განხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით შეიმუშავებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მექანიზმებს და ახდენს მათ სინქრონიზაციას დაწესებულების შიდა რეგულაციებთან და პროცედურებთან.

მონიტორინგის მექანიზმებია:

- **მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება:** უნივერსიტეტის ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით რექტორის ბრძანებით (რომელიც ხელმძღვანელობს მონიტორინგის ჯგუფს) განისაზღვრება მონიტორინიგის ჯგუფის წევრები, მასში შედის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი/დეკანები, გარე მოწვეული პირი (რომელიც შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციის და სხვა ორგანიზაციის წევრი);
- **მონაცემთა შეგროვება:** მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/პირები) აგროვებს/ენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის ველში.
- **შეგროვებული მონაცემების ანალიზი:** მონაცემთა ანალიზის ეტაპზე ხდება (პირველ ეტაპზე შეგროვებული) ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში;
- **რეკომენდაციების შემუშავება:** გადასცეს რეაგირებისათვის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფს. ჯგუფი ასევე ახდენს აქტივობების შესრულების დონის განსაზღვრას შემუშავებული ფორმის შესაბამისად (ფორმა N1);
- **მიღებულ შედგებზე რეაგირების მოხდენა**: საბოლოო მიზანი მდგომარეობს გეგმაში დასახული მიზნების მიღწევაში, პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, ფინანსური რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა;
- **დასკვნითი ეტაპი:** საბოლოო დოკუმენტის უნივერსიტეტის სენატზე დასამტკიცებლად წარდგენა.

მონიტორინგის ვადები: მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ფორმა

ფორმა N1

ამოცანები	აქტივობები	სრულად შესრულდა	მეტწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შედეგობრივი აღწერა